მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

Empowering *the* Change

დანართები:

დანართი 5. საქართველოში მეთევზეობის დარგის მარეგულირებელი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

(დანართი 5)

მდგრადი მეთევზეობის განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევის პროექტის ინიციატორია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროექტის მხარდამჭერი და დამფინანსებელია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ გრანტის ფარგლებში. პროექტი განახორციელა კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითიმ" (ACT).
პროექტის მენეჯერი: ნესტან გაფრინდაშვილი
მოწვეული ექსპერტები: ნინო ჩობანიანი, ანა რუხაძე

იანვარი, 2025

დანართი 5. საქართველოში მეთევზეობის დარგის მარეგულირებელი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა

I. თევზის რესურსების დაცვასა და რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა	
საკანონმდებლო აქტის დასახელება, მიღების/განახლების თარიღები	**მოკლე მიმოხილვა**
[საქართველოს კანონი "ცხოველთა სამყაროს შესახებ" (25/12/1996)](). კანონი მიღებულია 1996 წელს, ბოლო ცვლილება შეტანილია 2023 წელს.	კანონი არეგულირებს ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათ შორის თევზის, წყლის უხერხემლოებისა და ზღვის ძუძუმწოვრების დაცვასა და სარგებლობას. კანონის მთავარი მიზანია ცხოველთა სამყაროს დაცვა და აღდგენა, სახეობების მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, ასევე მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფა. კანონის თანახმად, თევზჭერა იყოფა სახეებად. **სარეწაო თევზჭერა და წყლის უხერხემლოთა რეწვა** განეკუთვნება ცხოველთა სამყაროს ობიექტებით **სპეციალურ სარგებლობას,** რაც საჭიროებს ლიცენზიას. **სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა და წყლის უხერხემლოთა მოპოვება პირადი მოხმარების მიზნით** განეკუთვნება **საერთო სარგებლობას,** რაც არ საჭიროებს ლიცენზიას ან ნებართვას. დაიშვება მხოლოდ იმ სახეობების მოპოვება, რომლებიც განეკუთვნებიან თევზჭერის ობიექტებს, რომელთა ჩამონათვალი მტკიცდება კანონქვემდებარე აქტით. კანონის თანახმად, ასევე დაშვებულია თევზჭერა **სამეცნიერო-კვლევითი,** ვეტერინარული, რეკრეაციული, საგანმანათლებლო, ტყვეობაში ან ნახევრად თავისუფალ პირობებში შენახვის და გამრავლების მიზნით. კანონით აკრძალულია ზღვის ძუძუმწოვრების მოპოვება (გარდა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისა) და მათზე წყალქვეშა ნადირობა. კანონით დაშვებულია ცალკეული ცხოველების (მათ შორის თევზისა და წყლის უხერხემლოების) რეგულირება სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკის, ბუნებრივი გარემოსა და სამეურნეო საქმიანობისთვის ზიანის აცილების მიზნით.

[საქართველოს კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" (24/06/2005)](). კანონი მიღებულია 2005 წელს, ბოლო ცვლილება შეტანილია 2023 წელს.	კანონი, ნორმატიულ აქტებთან ერთად, არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან მოქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიშროების მომატებით, გავლენას ახდენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებზე ან **დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსის გამოყენებასთან**. კანონით დადგენილია ლიცენზირებადი საქმიანობებისა და სანებართვო ქმედებების ამომწურავი ჩამონათვალი და, ასევე, განსაზღვრულია ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის ზოგადი წესები. კანონის თანახმად, **სარგებლობის ლიცენზიას საჭიროებს თევზჭერა**, ხოლო **აკვაკულტურა განეკუთვნება სანებართვო საქმიანობებს**. კანონით რეგულირდება სალიცენზიო და სანებართვო პირობების კონტროლის, ასევე სალიცენზიო და სანებართვო პირობების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის საკითხები.
[საქართველოს მთავრობის №138 დადგენილება თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე (11/08/2005)]().	დებულება განსაზღვრავს თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესსა და პირობებს. დებულების თანახმად თევზჭერის ლიცენზიას არ საჭიროებს: ა) შავ ზღვაში სანაპირო თევზჭერა; ბ) სამოყვარულო და სპორტული მიზნით თევზჭერა; გ) სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერა დ) პალიასტომის ტბასა და ნათხარებში თევზჭერა; ე) თევზჭერის ლიცენზიატის მიერ სალიცენზიო ფართობში მოხვედრილ წყლის ობიექტში კონკრეტული სახეობის თევზის მოშენებისათვის სხვა არალიცენზირებულ შიდა წყალსატევში თევზის მწარმოებლების (სადედე ინდივიდების) მოპოვების მიზნით თევზჭერა. დებულების თანახმად თევზჭერის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით. დებულებით განსაზღვრულია აუქციონის ჩატარების წესი. დებულების თანახმად, ლიცენზიის მფლობელებმა თევზჭერა უნდა განახორციელონ დადგენილი კვოტის ფარგლებში, რომელსაც ყოველწლიურად ადგენს **გარემოს ეროვნული სააგენტო.** სააგენტო ამ მიზნით აწარმოებს რესურსების შეფასებას.

	თევზჭერიც ლიცენზიაც გაიცემა აღნიშნული სააგენტოს მიერ[1]. დებულებით განსაზღვრულია თევზჭერის სალიცენზიო პირობები, რომლის თანახმადაც თევზჭერა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის ან/და ფიზიკური პირების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მცურავი საშუალებებით. 138-ე დადგენილებით განსაზღვრულია შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიის სალიცენზიო პირობები, რომლებიც დღეისათვის ფაქტიურად ვრცელდება მხოლოდ „აკვაკულტურის შესახებ“ კანონის (2020) მიღებამდე გაცემულ ლიცენზიებზე მათი ვადის გასვლამდე ან გაუქმებამდე. თუმცა, ექსტენსიური აკვაკულტურის სანებართვო პირობები, რაც განსაზღვრულია „აკვაკულტურის შესახებ“ კანონით (2020), თითქმის ანალოგიურია 138-ე დადგენილებით განსაზღვრული პირობებისა.ანუ, იმ შემთხვევაში, თუ შიდა წყალსატევში თევზჭერის ლიცენზიანტი[2] გადაწყვეტს, რომ არ ჩაანაცვლოს ლიცენზია აკვაკულტურის ნებართვის (რაც შესაძლებელია „აკვაკულტურის შესახებ“ კანონის საფუძველზე), ის ვალდებულია: ა) სამინისტროს წარუდგინოს წყლის ობიექტისა და თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმა და შეასრულოს მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები; ბ) განახორციელოს შესაბამისი კვლევები თევზის რესურსის მარაგის შეფასებისათვის და სააგენტოს წარუდგინოს მოთხოვნა მის საფუძველზე კვოტის დამტკიცების თაობაზე; გ) უზრუნველყოს წყლის ობიექტში არსებული „წითელი ნუსხის“ სახეობების დაცვა; დ) უზრუნველყოს სარეწაო ჟურნალის, თევზის რესურსით სარგებლობის, აღწარმოებისა დ დაცვის შიდასააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება და გარემოსდაცვით ზედამხედველობის დეპარტამენტს

[1] „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის (2005) მოთხოვნების შესაბამისად, თევზჭერის ლიცენზიები შავ ზღვაში გაიცა 2006 წელს, რის შემდეგაც ახალი აუქციონი აღარ გამოცხადებულა, არამედ ხდება 2006 წელს გაცემული ლიცენზიების ვადის გაგრძელება. სააგენტო გასცემდა შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიას, რომელიც გაუქმდა „აკვაკულტურის შესახებ“ კანონით (2020). (ავტორის შენიშვნა).

[2] დღეისათვის არის სულ შიდა წყალსატევებში თევზჭერის 7 მოქმედი ლიცენზია, რომლებიც გაცემულია „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ კანონის (1996), „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონისა (2005) და მთავრობის 138-ე დადგენილების (2005) საფუძველზე. (ავტორის შენიშვნა).

	ყოველთვიურად წარუდგინოს ინფორმაცია მოპოვებული თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების შესახებ, სახეობებისა და ოდენობების ჩვენებით, ასევე, **ყოველწლიურად** წარუდგინოს სრული ანგარიში სალიცენზიო პირობებისა და მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების თაობაზე; ე) წყალსატევის დათევზიანების ღონისძიებები განახორციელოს მხოლოდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლის თანდასწრებით. ვ) ლიცენზიის ვადის გასვლის წლისათვის უზრუნველყოს წყალსატევში თევზისა და ჰიდრობიონტების მართვის გეგმით განსაზღვრული აღწარმოების გათვალისწინებით მიღწეული მარაგის არსებობა და გადააბაროს გარემოსდაცვით ზედამხედველობის დეპარტამენტს წყლის ობიეტში არსებული ბუნებრივი რესურსი.
[საქართველოს კანონი აკვაკულტურის შესახებ (24/06/2020)](#) და კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტები. კანონი მიღებულია 2020 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2022 წელს.	კანონი გასაზღვრავს აკვაკულტურის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელებისას საკუთრებასთან, აკვაკულტურის ნებართვის გაცემასთან, საზღვაო წყლებში აკვაკულტურისათვის ზონის გამოყოფასთან, კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონის თანახმად, **აკვაკულტურა** არის წყლის ცოცხალი ორგანიზმების (თევზი, მოლუსკი, კობოსნაირი, წყლის მცენარე) ისეთი საშუალებების გამოყენებით მოშენება (კულტივირება, გამოზრდა, გამრავლება), რომელთა მიზანია ამ ორგანიზმის წარმოების გაზრდა გარემოს ბუნებრივი შესაძლებლობების მიღმა. ხოლო **ექსტენსიურ აკვაკულტურად** განიხილება ბუნებრივ ან ხელოვნურ წყალსატევის (გარდა აკვაკულტურის კონსტრუქციისა) დათევზიანება ხელოვნურად გამრავლებული მასალით, ამ წყალსატევში არსებული ბუნებრივ თევზის რესურსის აღწარმოების ხელშეწყობა და თევზჭერა. კანონი არეგულირებს აკვაკულტურის საქმიანობას საქართველოს შავი ზღვის კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის), განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის (შემდგომ – საზღვაო წყლები) და შიდა წყლების – წყალსატევების (ტბები, წყალსაცავები, ტბორები, მდინარეები, მიწისქვეშა წყლები, ნაკადულები, არხები, წყალჭაობიანი ადგილები და

	აკვაკულტურის ობიექტების მოშენებისთვის გამოსადეგი სხვა წყალსატევები) განსაზღვრულ ადგილებში. კანონის თანახმად იქმნება: ა) **აკვაკულტურის უწყებათაშორისი საბჭო,** რომლის უფლებამოსილებებია აკვაკულტურის მდგრადი განვითრებისთვის საჭიროებების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება; საზღვაო წყლებში აკვაკულტურისათვის ზონების გამოყოფის შესახებ წინადადებების შემუშავება, საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ნებართვის გასაცემად შესაბამისი განაცხადის განხილვა და რეკომენდაციების მომზადება; ბ) **აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭო,** რომლის უფლებამოსილებებია უცხო სახეობის შემოყვანის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნის შემუშავება, პროცედურების განსაზღვრა, რომელიც წინ უძღვის უცხო სახეობების გაშვებას, უცხო სახეობის შემოყვანის რისკების ანალიზი და გარემოსდაცვითი რისკების შეფასება, სამინისტროსა და გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის აკვაკულტურის განვითარებასთან დაკავშირებული სამეცნიერო ასპექტების შესახებ კონსულტაციების გაწევა და რეკომენდაციების წარდგენა. კანონის თანახმად, როგორც აკვაკულტურის საქმიანობა, ასევე ექსტენსიური აკვაკულტურის საქმიანობა საჭიროებს **აკვაკულტურის ნებართვას,** რომელიც გაიცემა 20 წლის ვადით, მაგრამ შესაძლოა მისი მოქმედების ვადა გახანგრძლივდეს 40 წლამდე (არაუმეტეს 20 წლით გაგრძელდეს). კანონით განსაზღვრულია აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესი და სანებართვო პირობები. აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. კანონით განსაზღვრულია საზღვაო წყლებში **მარიკულტურისათვის** ზონების გამოყოფის ძირითადი მოთხოვნები. მარიკულტურისთვის გამოყოფილი ზონისთვის სავალდებულოა მართვის გეგმის შემუშავება და დამტკიცება. კანონით დადგენილია ნებართვის გაცემისა და საქმიანობის განხორციელების სპეციალური მოთხოვნები: ა) საზღვაო წყლებში აკვაკულტურის (მარიკულტურის) საქმიანობისთვის;

	ბ) ხმელეთზე განთავსებული აკვაკულტურის კონსტრუქციის გამოყენებით აკვაკულტურის საქმიანობისთვის; გ) ექსტენსიური აკვაკულტურისთვის საქართველოს შიდა წყლებსა და წყალსატევებში. კანონის საფუძველზე, დღეისათვის მიღებულია შემდეგი კანონქვემდებარე აქტები: 1. აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის №232 დადგენილება; 2. ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ივლისი №326 დადგენილება; 3. აკვაკულტურის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ივლისის №325 დადგენილება; 4. აკვაკულტურის უწყებათაშორისი საბჭოს შემადგენლობის, მუშაობის ორგანიზებისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის დადგენილება №53; 5. საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურისთვის გამოყოფილის ზონების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აპრილის №639 განკარგულება; 6. აკვაკულტურის კვლევაზე თანხმობის გაცემის წესის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1-ელი ივლისის ბრძანება №2-1003; 7. აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე გარემოს დაცვისა და სოფლის

	მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 9 მარტის ბრძანება №2-271; 8. აკვაკულტურის საქმიანობის განსახორციელებლად უცხო სახეობის შემოყვანის წესისა და პირობების შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის ბრძანება №2-846; 9. საზღვაო წყლებში აკვაკულტურის გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამის დამტკიცების შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1-ელი ივლისის ბრძანება №2-1004; 10. „საქართველოს წყლებში მობინადრე, ადგილობრივ და ადგილობრივთან გათანაბრებული წყლის ორგანიზმების სახეობების ნუსხის“ დამტკიცების შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის №2-847 ბრძანება; 11. ჰიდრობიონტის აკვაკულტურისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმისა და გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 9 მარტის №2-270 ბრძანება; შესაბამისად, უკვე მიღებულია „აკვაკულტურის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ყველა კანონქვემდებარე აქტი, **გარდა საქართველოს მთავრობის მიერ დასამტკიცებელი აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონის მართვის გეგმისა.**
საქართველოს მთავრობის დადგენილება №423 თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე (31/12/2013).	ტექნიკური რეგლამენტი: ა) არეგულირებს თევზის, ასევე კიბოსნაირებისა და მოლუსკების მოპოვების წესებსა და ვადებს; ბ) განსაზღვრავს მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალს, გ) განსაზღვრავს თევზჭერის აკრძალვის ადგილებს, დ) ადგენს ჭერა-აკრძალული თევზის სახეობებს;

	ე) ადგენს თევზჭერისათვის აკრძალული იარაღების, საშუალებებისა და ხერხების ჩამონათვალს და თევზის მარაგის დაცვასთან დაკავშირებულ სხვა აკრძალვებს; ვ) განსაზღვარვს ბადის თვილის ზომებს თევზსაჭერ იარაღებში; ზ) განსაზღვრავს ჭერისათვის დაშვებული თევზის მინიმალურ სიგრძეს და თანჭერილში მინიმალურ სიგრძეზე ნაკლები სიგრძის თევზების მაქსიმალურ მოცულობას; თ) განსაზღვრავს თანჭერილის მაქსიმალურ მოცულობას თევზების იმ სახეობებისთვის, რომელთა ჭერა არ არის დაშვებული; ი) ადგენს თევზჭერის სპეციალურ მოთხოვნებს თევზჭერის ლიცენზიანტებისთვის, რომლებიც შეეხება ჭერილის აღრიცხვას, კონტროლსა და მინიტორინგს. კ) ადგენს მოთხოვნებს უცხო ქვეყნის ტერიტორიულ ზღვასა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ასევე ღია ზღვაში თევზჭერასა და თევზჭერასთან დაკავშირებულ საქმიანობაში საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი/თევზჭერასთან დაკავშირებული გემებისთვის, ასევე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის არალეგალურ, არადეკლარირებულ და დაურეგულირებელ (IUU) თევზჭერასთან მიმართებით და მოთხოვნებს საქართველოს ნავსადგურებში უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი/თევზჭერასთან დაკავშირებული გემების შემოსვლასთან დაკავშირებით. ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია თევზჭერის შემდეგი სახეები: ა) **სამრეწველო თევზჭერა** - სარეწაო მიზნით შავ ზღვაში ნაპირიდან არა უმცირეს 300 მეტრის დაშორებით თევზის მოპოვება; ბ) **სანაპირო თევზჭერა** - შავ ზღვაში თევზის მოპოვება ნაპირიდან არაუმეტეს ერთი საზღვაო მილის (1.852 მეტრი) დაშორებით. სანაპირო თევზჭერა დაიშვება მხოლოდ 8 მეტრამდე სიგრძის წყლის მცურავი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით. გ) **სამოყვარული და სპორტული თევზჭერა** - თევზჭერა ყველა სისტემის და დასახელების ხელის

	ანკესით, სასროლი ბადით, ხოლიხი ბადითა და ჩოგანბადით, ასევე, წყალქვეშა ნადირობა და ჰიდრობიონტების შეგროვება, აკვალანგებისა და სხვა ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობების გარეშე; დ) **რეკრეაციული თევზჭერა** - სპორტული თევზჭერის სახე (მათ შორის, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ კალმახზე) – თევზჭერის ობიექტის გარემოდან ამოღების გარეშე. 138-ე დადგენილების შესაბამისად, ლიცენზიას მოითხოვს მხოლოდ სამრეწველო თევზჭერა. ხოლო თევზჭერის ყველა დანარჩენი სახეები არ საჭიროებენ ლიცენზიასა და ნებართვას. თევზჭერის ამ სახეებისათვის არ დგინდება კვოტები და ისინი არ ექვემდებარებიან რაიმე სახის გადასახადს, მათ შორის მოსაკრებელს ბუნებრივი რესურსით სარგებლობისთვის. ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, განსაზღვრულია იმ იარაღების ჩამონათვალი, რომლითაც თევზჭერა ითვლება სამოყვარული და სპორტულ თევზჭერად. ამასთან, რეგლამენტით განსაზღვრულია აკრძალვები სამოყვარული და თევზჭერის დროს სხვადასხვა ტიპის იარაღებისა და მეთოდების გამოყენების თაობაზე, ასევე სამოყვარული და სპორტული თევზჭერისთვის აკრძალული ადგილები. სამოყვარულო და სპორტული თევზჭერისთვის არ ხდება კვოტების განსაზღვრა და როგორც აღინიშნა, თევზჭერის ეს სახე არ საჭიროებს ნებართვა ან ლიცენზიას. რეკრეაციული თევზჭერა წარმოადგენს სპორტული თევზჭერის ერთერთ სახეს თევზჭერის ობიექტის გარემოდან ამოღების გარეშე. თევზჭერის ამ სახის მიმართ დეტალური მოთხოვნები მოცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 მაისის №13 ბრძანებაში „რეკრეაციული თევზჭერის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების თანახმად, რეკრეაციული თევზჭერა წარმოებს „დაიჭირე-გაუშვი“-ის პრინციპით. ინსტრუქციით დადგენილია მოთხოვნები ამ სახის თევზჭერის განხორციელებისთვის. აღსანიშნავია, რომ რეკრეაციული თევზჭერა დაიშვება კალმახზეც, რომელიც შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“. ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, თევზჭერა მთელი წლის განმავლობაში აკრძალულია ზღვის

	ხუთმილიან სანაპირო ზონაში ქალაქ ფოთიდან ქალაქ ოჩამჩირემდე 60-მეტრიანი იზობათის ფარგლებში, ხოლო ფოთი-ანაკლიის უბანზე - 120 მეტრიანი იზობათის ფარგლებში. თუმცა თევზჭერის აკრძალვის ეს ზონა არ არის შესაბამისობაში არც „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლით დადგენილ ზღვის ნაკრძალ რაიონთან და არც „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით შექმნის საზღვაო დაცული ტერიტორიის საზღვრებთან. ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შავი ზღვის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, კონტინენტურ შელფზე და საერთო სარგებლობის ყველა წყალსატევზე (ტერიტორიული წყლები, მდინარეები, ტბები, ბუნებრივი ტბორები და წყალსაცავები), რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნენ თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების რეწვისათვის, ან/და აქვთ მნიშვნელობა სარეწაო თევზის მარაგის აღდგენისათვის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგლამენტში არ განხორციელებულა სათანადო ცვლილებები „აკვაკულტურის შესახებ“ კანონის მიღების შემდგომ. ამიტომ რეგლამენტში კვლავ განიხილება სარეწაო თევზჭერა შიდა წყალსატევებში, მაშინ როცა „აკვაკულტურის შესახებ“ კანონის თანახმად შიდა წყალსატევებში თევზჭერა უკვე განიხილება, როგორც ექსტენსიური აკვაკულტურა. შესაბამისად, არის გარკვეული ბუნდოვანება შიდა წყალსატევებში სარეწაო თევზჭერასთან დაკავშირებით, თუ ის ხორციელდება დათევზიანების გარეშე. ბუნდოვანია, **ასეთი საქმიანობა კვლავ უნდა იქნეს განხილული თევზჭერად და შესაბამისად დაექვემდებაროს თევზჭერის ლიცენზიას,** თუ უნდა იქნეს განხილული ექსტენსიური აკვაკულტურის საქმიანობად. **ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია მოთხოვნები არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის პრევენციისა და აღკვეთისათვის.** ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილებები ტექნიკურ რეგლამენტში შეტანილი იქნა ევროკავშირის შესაბამის დირექტივების მიხედვით და ევროკომისიის საზღვაო საქმეთა და მეთევზეობის გენერალური დირექტორატთან თანამშრომლობით. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მნიშვნელოვან

	გამოწვევად რჩება სანაპირო თევზჭერის ფარგლებში მოპოვებული თევზის რესურსების აღრიცხვის საკითხი. ტექნიკური რეგლამენტი მოიცავს დებულებებს საქართველოს ნავსადგურში შემოსვლისათვის უცხო ქვეყნის დროში ქვეშ მცურავი გემების ავტორიზაციის შესახებ, თევზჭერის პროდუქტების იმპორტის, ექსპორტისა და რე-ექსპორტის შესახებ, უცხო ქვეყნის ტერიტორიულ ზღვასა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ასევე ღია ზღვაში თევზჭერასა და თევზჭერასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების ავტორიზაციის შესახებ და მოთხოვნებს ამ გემების მიმართ, გემის მიერ სახელმწიფო დროში შეცვლის შემთხვევაში ავტორიზაციის შესახებ, უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობის შესახებ.
[საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №21 „სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის წესის დამტკიცების შესახებ“]().	წესის თანახმად, სამეცნიერო-კვლევითი თევზჭერა საჭიროებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანხმობას. წესით განსაზღვრულია თუ რა ინფორმაცია უნდა წარადგინოს დაინტერესებულმა პირმა სამინისტროში თანხმობის მისაღებად. ასევე, განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის განმახორციელებლის ვალდებულებები.
[საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 19 აგვისტოს ბრძანება №163 „შიდა წყალსატევისა და თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“]().	[„თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების](() თანახმად, შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიანტი ვალდებულია „სამინისტროს წარუდგინოს წყლის ობიექტისა და **თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმა** და შეასრულოს მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები; [„აკვაკულტურის შესახებ“ კანონის](() მიხედვით, ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის მფლობელი ასევე ვალდებულია ექსტენსიური აკვაკულტურის საქმიანობა დადგენილი წესით შეთანხმებული **აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონის მართვის გეგმის** საფუძველზე განახორციელოს. თუმცა, ამავე კანონის თანახმად, აკვაკულტურისთვის გამოყოფილი [მართვის გეგმა მტკიცდება](() საქართველოს მთავრობის მიერ. ბუნდოვანია, ვრცელდება თუ არა კანონის ეს მოთხოვნა შიდა წყალსატევებში აკვაკულტურისათვის გამოყოფილ ზონებზეც თუ არა.

	„შიდა წყალსატევისა და თევზსამეურნეო საქმინაობის მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესი“ განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 19 აგვისტოს №163 ბრძანებით. აღნიშნული წესის თანახმად, მართვის პირველი გეგმა მუშავდება არანაკლებ 5 წლიანი პერიოდისთვის, ხოლო მისი ვადის გასვლის შემდეგ მუშავდება ახალი გეგემა ლიცენზიის დარჩენილი ვადის შესაბამისად. დებულებით განსაზღვრულია საკითხების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა მოიცავდეს მართვის გეგმა, მათ შორის წყალსატევის დათევზიანების ღონისძიებები, წყალსატევში არსებული სახეობები, მათ შორის დაცული, ინვაზიური, ინტროდუცირებული სახეობები. დაცული („წითელ ნუსხაში“) შეტანილი სახეობების პოპულაციების დაცვისა და აღწარმოების ღონისძიებები, ინფორმაცია თევზჭერის იარაღების, მოწყობილობებისა და საცურაო საშულებების შესახებ და სხვა. გეგმა მტკიცდება გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. დებულებით განსაზღვრულია გეგმის დამტკიცების პროცედურაში დაინტერესებული მხარეების ჩართვის ვალდებულება.
[საქართველოს კანონი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ (29/12/2004)](). კანონი მიღებულია 2004 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2023 წელს.	ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპის საფუძველზე, ამ კანონით განსაზღვრულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლები. კანონის თანახმად, ამ მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება ეკისრება თევზჭერის ლიცენზიანტებს, ასევე პირებს, რომლებიც ზედაპირული წყლების გამოყენებით აკვაკულტურის ნებართვის საფუძველზე ახორციელებს აკვაკულტურის საქმიანობას. კანონით დადგენილია მოსაკრებლების ოდენობა თევზის სახეობების მიხედვით, ასევე აკვაკულტურის კონსტრუქციაში გამოყენებული ბუნებრივი წყლის რესურსით სარგებლობისთვის. კანონის თანახმად მოსაკრებელი უმცირდებათ 70%-ით იმ ბუნებათმოსარგებლეებს, რომლებიც ეწევიან ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას; და აღდგენილი (კვლავწარმოებული) რესურსების მოცულობის (რაოდენობის) ფარგლებში იმ ბუნებათმოსარგებლეებს, რომლებიც საკუთარი სახსრებით ახორციელებენ ბუნებრივი რესურსების აღდგენა-კვლავწარმოებას, შესაბამისად, იმ პირებს,

	რომლებიც შიდა წყალსატევებში ეწევიან თევზსამეურნეო საქმიანობას. ბუნდოვანია, ექვემდებარება თუ არა მოსაკრებლის გადახდას ან 70%-იან შეღავათს ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის მფლობელები.
[საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (01/06/2017)](). კანონი მიღებულია 2017 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2023 წელს.	კოდექსი არეგულირებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთან და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე. მისი რეგულირების სფეროს განეკუთვნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ), სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურები. კოდექსით განსაზღვრულია გზშ-ისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, სკრინინგის, სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების დეტალური პროცედურები. კოდექსის თანახმად, **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების** ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო კოდექსის დანართებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის, მათ შორის, **თევზჭერისა** და სოფლის მეურნეობის სექტორებში. ეს საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს თევზჭერის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესში. კოდექსის თანახმად, სკრინინგს ექვემდებარება წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა (წყლის ცხოველური ორგანიზმებისა და მცენარეების მოშენება) (დანართი 2, 1.6). სკრინინგის ანგარიშის საფუძველზე, კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, მიღებული იქნება გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.
[საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (10/12/1996)]().	ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი

კანონი მიღებულია 1996 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2023 წელს.	ფორმის განურჩევლად) პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით. აღნიშნული კანონით შექმნილია სამართლებრივი საფუძველი განხილულ კანონებში გარემოსდაცვითი მოთხოვნების ინტეგრირებისათვის, მათ შორის, განსაზღვრულია ზოგადი გარემოსდაცვითი მოთხოვნები საქმიანობის განხორციელების პროცესში, მოთხოვნები გზშ-ისა და სგშ-ის განხორციელებისათვის, მოთხოვნები ბუნებრივი ეკოსისტემების, მათ შორის საზღვაო გარემოსა და შიდა წყალსატევების, გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვისათვის და გარეულ ცხოველთა (მათ შორის თევზის) რესურსების თვითაღწარმოებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის.
[საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ (06/06/2003)](). კანონი მიღებულია 2003 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2023 წელს.	კანონი აწესრიგებს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შედგენას, სამართლებრივ ურთიერთობებს გადაშენების პირას მყოფის სახეობების დაცვის სფეროში. კანონის თანახმად, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფად მიიჩნევიან სახეობები, რომელთა რაოდენობისა და გავრცელების არეალის შემცირება, საარსებო პირობების გაუარესება ან სხვა გარემოებები მიუთითებს მათი დაცვისა და კვლავწარმოებისთვის სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობაზე. კანონის თანახმად, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს იცავს სახელმწიფო და აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, მათ შორის მოპოვება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს: ➢ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების დაღუპვა; ➢ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება; ➢ მათი საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობების გაუარესება; ➢ მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო ადგილების დარღვევა. „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ და „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრულია განსაკუთრებული შემთხვევები, რომლის დროსაც დაიშვება

	გადაშენების პირას მყოფი სახეობების მოპოვება ანუ ბუნებრივი გარემოდან ამოღება. ასეთი შემთხვევებია: გადაშენების პირას მყოფი სახეობის ინდივიდის/ინდივიდების გადარჩენის, განკურნების, პოპულაციის აღდგენისა და სამეცნიერო მიზნებისთვის მოპოვება, რისთვისაც საჭიროა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილობითი თანხმობა. აღნიშნული თანხმობა შესაძლებელია შეიცავდეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვების გარკვეულ შეზღუდვებს ან/და პირობებს. კანონით ასევე რეგულირდება ველური სახეობების ნიმუშებით საერთაშორისო ვაჭრობა CITES-ის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, განსაზღვრულია კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რე-ექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემის წესი და პირობები. კანონის თანახმად, ზუთხისებრთა თევზებისაგან (რომლებიც შეტანილია კონვენციის მეორე დანართში) წარმოებული ხიზილალას მწარმოებელი საწარმოები უნდა იქნენ რეგისტრირებული კონვენციის სამდივნოს რეესტრში, ექსპორტის ნებართვა გაიცემა მხოლოდ რეგისტრირებულ საწარმოებზე. კანონით ასევე განსაზღვრულია ხიზილალას მწარმოებელი საწარმოების სხვა ვალდებულებები. „ხიზილალას მწარმოებელი საწარმოების შიდა რეესტრის წარმოების წესი“ დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუენრბივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 17 აპრილის №197 ბრძანებით. კანონის საფუძველზე, 2006 წლის 2 მაისს საქართველოს პრეზიდენტის №303 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს „წითელი ნუსხა“, ხოლო 2014 წლის 20 თებერვალს იგივე ნუსხა (რამე ცვლილების გარეშე) დამტკიცდა საქართველოს მთავრობის №190 დადგენილებით, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებების ცვლილებების გამო. აღნიშნული დადგენილების მიხედვით, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილია შავ ზღვაში გავრცელებული დელფინების 3 სახეობიდან 2 სახეობა (ზღვის ღორი და აფალინა), შავ ზღვაში გავრცელებული ზუთხისნაირების ექვსივე სახეობა, ასევე ძვლოვანი თევზების 5 სახეობა და 4 ქვესახეობა.

[საქართველოს კანონი წყლის შესახებ (16/10/1997)](). კანონი მიღებულია 1997 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2023 წელს. კანონიძალას კარგავს 2026 წლის 1-ელი სექტემბრიდან.	კანონი განსაზღვრავს წყლის რესურსების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, ადგენს წყლის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული წყლები და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლები, მტკნარი წყლის ობიექტებთან ერთად ქმნიან საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს, რომელიც არის სახელმწიფო საკუთრება და გაიცემა მხოლოდ სარგებლობისთვის. საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, უზრუნველყოს წყლის რაციონალური და მდგრადი გამოყენება და დაცვა, არ დაუშვას მისი დაბინძურება, დანაგვიანება და დაშრეტა. კანონის თანახმად, წყლის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს წყლის ცხოველთა სამყაროს სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება, ასევე თევზის მარაგის დაცვის საკითხები. კანონი ასევე მოითხოვს თევზისა და წყლის სხვა ცხოველების დაცვის ღონისძიებების განხორციელებას თევზსამეურნეო წყალსატევებზე ახალი თუ რეკონსტრუირებული საწარმოს ან ნაგებობის დაპროექტების, მშენებლობისა და ოპერირების დროს. კანონი მოითხოვს, რომ წყალამღებ ნაგებობებს გააჩნდეთ თევზის დამცავი მოწყობილობა, ხოლო ჰიდროტექნიკური ნაგებობებს - თევზის გამტარი მოწყობილობები. კანონის თანახმად, თევზჭერა აკრძალულია წყალმომარაგების ობიექტის სანიტარული დაცვის ზონის პირველ სარტყელში (მკაცრი დაცვის ზონაში), კანონის სპეციალური მუხლით (მუხლი 17) განისაზღვრება სახელმწიფოს ვალდებულებები შავი ზღვის ბუნებრივი რესურსების დაცვისათვის, რაც მოიცავს ზღვის ცოცხალი რესურსებით სარგებლობის აკრძალვებსა და შეზღუდვებს, საბინადრო გარემოს, გამრავლების პირობებისა და სამიგრაციო გზების დაცვას, ზღვის აკვატორიის ფარგლებში დაცული ტერიტორიების შექმნას, ზღვის ცხოველთა სამყაროს დაცვას თვითნებური სარგებლობისგან, მეცნიერული კვლევების დაფინანსებას, საქმიანობების ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელებას, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენონ ზღვის ცოცხალ რესურსებს.

	კანონით განსაზღვრულია მოთხოვნები ზღვის ძუძუმწოვრებისა და თევზის ანადრომული სახეობების დაცვის მიზნით.
[საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ (30/06/2023)](). კანონი მიღებულია 2023 წელს. კანონი სრულად ძალაში შედის 2026 წლის 1-ელი სექტემბრიდან.	კანონის აწესრიგებს წყლის რესურსების მართვის საკითხებს. მისი რეგულირების სფეროს განეკუთვნება ზედაპირული წყლების, მიწისქვეშა წყლები და მათი დაცვითი ზონები. კანონი არ არეგულირებს საქართველოს საზღვაო სივრცესთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება [კანონით „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“](). კანონი არ ადგენს უშუალოდ თევზის რესურსების დაცვის ან თევზჭერის/აკვაკულტურის მარეგულირებელ ნორმებს. თუმცა, მისი ამოცანაა წყლის რესურსების მდგრადი ინტეგრირებული მართვის სისტემის შექმნა და ზედაპირული წყლების სააუზო მართვის სისტემის შემოღება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზედაპირულ წყლებში სხვადასხვა საქმიანობას შორის კონფლიქტის თავიდან აცილებას. კანონით ასევე რეგულირდება წყლის რესურსებით სარგებლობის საკითხები, რაც უშუალოდ უკავშირდება აკვაკულტურის საქმიანობას. კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტების კომპეტენციას განეკუთვნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით განსაზღვრონ ადგილები, სადაც აკრძალულია თევზჭერა.
[საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო კოდექსი“ (15/05/1997)](). კანონი მიღებულია 1997 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2023 წელს.	საქართველოს საზღვაო კოდექსი, თევზჭერის მარეგულირებელი აქტების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, არეგულირებს რა საზღვაო ნაოსნობას, მათ შორის თევზისა და სხვა საზღვაო რეწვის მიზნით, განსაზღვრავს მოთხოვნებს საქართველოს სახელმწიფო დროში სარგებლობისთვის, გემების (მათ შორის თევზსაჭერი გემების) რეგისტრაციისათვის, საზღვაო ნავსადგურის აკვატორიაში თევზსაჭერი გემის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლისათვის. კოდექსის თანახმად „თევზსაჭერი გემი“ არის ნებისმიერი გემი, რომელსაც იყენებენ თევზჭერისა

	და სხვა სახეობის საზღვაო რეწვისათვის. რეწვის იარაღი გემის განუყოფელ ნაწილად განიხილება. კოდექსის თანახმად, თევზსაჭერ გემზე სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ სათანადო წოდების მქონე საზღვაო საქმის სპეციალისტები. პირს წოდება ენიჭება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, რაც დასტურდება შესაბამისი კომპეტენციის სერტიფიკატით და კვალიფიკაციის სერტიფიკატით.
[საქართველოს კანონი საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ (24/12/1998)](). კანონი მიღებულია 1998 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2023 წელს.	კანონი განსაზღვრავს შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლების, ტერიტორიული ზღვის (წყლების), მიმდებარე ზონის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის სამართლებრივ სტატუსს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად. სხვა მიზნებთან ერთად, კანონის მიზანია შავი ზღვის გარემოს დაცვა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, ასევე სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობა და შავი ზღვის რესურსების რაციონალური გამოყენება. კანონით განსაზღვრულია სახელმწიფო პასუხისმგებლობა, უზრუნველყოფილი იყოს თევზის ანადრომული სახეობების დაცვა და რაციონალური გამოყენება, რომლებიც ჩნდებიან საქართველოს მდინარეებში და თავისი საცხოვრებელი ციკლის ნაწილს სხვა ქვეყნის წყლებში ატარებენ. საქართველო უზრუნველყოფს თევზის ანადრომული სახეობების შენარჩუნებას, დაცვასა და ოპტიმალურ გამოყენებას თავის წყლებში მათი რეწვის რეგულირებით და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადებით. კანონის თანახმად, იქმნება ზღვის ნაკრძალი რაიონი, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიული ზღვის სანაპირო ზოლს მდინარე რიონის შესართავიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ანაკლიამდე, რომლის სიგანე 5 საზღვაო მილია. ზღვის ნაკრძალ რაიონს ეკვრის 2 მილის სიგანის დამცავი ზონა. ამ რაიონში ნაოსნობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში დაიშვება. რეალურად, ზღვის ნაკრძალი რაიონი შეიქმნა [კანონით „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“](), რომელიც მიღებული იქნა 1998 წელს. ამ კანონის ერთერთი მიზანია მიმდებარე სანაპირო ზოლში ეკოლოგიური

	წონასწორობის შესანარჩუნებლად 5 საზღვაო მილის სიგანის ზღვის აკვატორიის დაცვა; შესაბამისად, კოლხეთის ეროვნული პარკი მოიცავს 15751 ჰექტარ ზღვის აკვატორიას მდინარე რიონის შესართავიდან მდინარე ჭურიის შესართავამდე. კანონში 2022 წელს შეტანილი ცვლილებებით, ზუთხისებრთა თევზების დაცვისა და კონსერვაციის უზრუნველყოფის მიზნით, გაფართოვდა კოლხეთის ეროვნული პარკი და მის შემადგენლობაში შევიდა მდინარე რიონის შესართავის ნაწილი.
[საქართველოს კანონი „მეთევზე-მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ (29/06/2012)](). კანონი მიღებულია 2012 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2018 წელს.	კანონით დადგენილია საქართველოში მეთევზე-მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემა. კანონის თანახმად, მეთევზე-მეზღვაურის პროფესია რეგულირებად პროფესიებს განეკუთვნება. შესაბამისად, თევზსაჭერ გემზე მუშაობის მსურველი ვალდებულია, მიიღოს პროფესიული ან უმაღლესი საზღვაო განათლება და გაიაროს სპეციალიზებული საზღვაო წვრთნა, კომპეტენციის სერტიფიკატის მიღების მიზნით. ამასთან, მეთევზე-მეზღვაურმა ყოველ 5 წლიწადში ერთხელ შესაბამის საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებაში უნდა გაიაროს გადამზადების კურსი, გემთმფლობელის ან საკუთარი დაფინანსებით. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ხდება მეთევზე-მეზღვაურთა რეგისტრაცია და აღრიცხვა. კანონით განსაზღვრულია თევზსაჭერ გემზე ეკიპაჟის შემადგენლობის წოდებები და მათთვის წაყენებული მოთხოვნები. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება იმ გემებზე, რომელთა სიგრძე 7 მეტრზე ნაკლებია. საზღავო ტრანსპორტის სააგენტო განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს 7 მეტრი და ნაკლები სიგრძის როგორც ძრავიანი, ისე ნიჩბიანი თევზსაჭერი გემების პერსონალის სერტიფიცირებისა და მომზადებისათვის.
[საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (07/03/1996)](). კანონი მიღებულია 1996 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2022 წელს.	კანონით წესრიგდება საქართველოში სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიების შექმნა და მართვა (რომლებიც მართვის რეჟიმების მიხედვით შეესაბამებიან IUCN-ის კატეგორიებს), ასევე საერთაშორისო ქსელში ჩართული კატეგორიების - ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შექმნა.კანონით განსაზღვრულია საქმიანობები, რომლებიც აკრძალულია ან რეგულირდება დაცული ტერიტორიის ფარგლებში.

	დაცული ტერიტორიის ფარგლებში იკრძალება: • ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა და სხვა სახის შეცვლა; • ექსპლუატაციის ან სხვა მიზნით რომელიმე ბუნებრივი რესურსის განადგურება (ამოწყვეტა), ამოღება (დატყვევება), რღვევა, დაზიანება (დახეიბრება), შეშფოთება; • გარემოს დაბინძურების მიზეზით ბუნებრივი ეკოსისტემების და სახეობების დაზიანება; • ცოცხალ ორგანიზმთა უცხო და ეგზოტიკური სახეობების შემოყვანა და გავრცელება; • ტერიტორიაზე ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების შეტანა; • დაცული ტერიტორიის ინდივიდუალური დებულებითა და მენეჯმენტის გეგმით დაუშვებელი სხვა საქმიანობა. დაცული ტერიტორიის გარეთ კონტროლდება: • ეკოსისტემებისა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობა ბუფერულ ზონაში; • ბუფერული ზონასთან შეხებაში მყოფი განვითარების პროგრამები და ცალკეული მნიშველოვანი სამეურნეო და სამშენებლო პროექტები (გარემოზე მავნე ზემოქმედების შეფასების მიზნით); • დაცული ტერიტორიისათვის საზიანო გარეშე საქმიანობის პრევენტული ღონისძიებები (აღმკვეთი ჯარიმის დაწესება); • დაცული ტერიტორიისათვის მავნე საქმიანობით მიყენებული ზარალის კომპენსაცია.
[საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ (02/03/2021)](). კანონი მიღებულია 2021 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2023 წელს.	კანონი არეგულირებს გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პრევენციასთან, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ან გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის შერბილებასთან, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში განსახორციელებლ ღონისძიებებთან (მათ შორის, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებასა და ანაზღაურებასთან) დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. კანონის თანახმად, გარემოსთვის მიყენებული ზიანი განიმარტება, როგორც უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, რომელიც გამოწვეულია

	სამრეწველო ავარიით ან/და პირის (გარდა ფიზიკური პირებისა) მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებით. ზიანად არ ითვლება გარემოზე ისეთი უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც წინასწარ იყო განსაზღვრული და აღნიშნულ ქმედებაზე უფლებამოსილ ორგანოს გაცემული ჰქონდა კანონმდებლობით გათვალისწინებული, შესაბამისი უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტი ან თანხმობა. მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით და პასუხისმგებლობით განახორციელოს მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები შემდეგი რიგითობის მიხედვით: ა) გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა; ბ) გარემოს პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობაში აღდგენა; გ) დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება. კანონით განსაზღვრულია მნიშვნელოვანი ზიანის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (დანართი 1) მათ შორის, შორის: ა) ქმედება, რომელმაც გამოიწვია „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობის ან ბერნის კონვენციით მკაცრად დაცული სახეობის ერთი ინდივიდის განადგურება; ბ) დაცული სახეობის ინდივიდების განადგურება ისე, რომ წარმოიქმნა ეროვნული ან ადგილობრივი პოპულაციების განადგურების საფრთხე; გ) თუ წყლის ობიექტზე მავნე ზემოქმედებამ გაანადგურა თევზის რესურსი. კანონის თანახმად, პირი, რომელმაც გარემოს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი, ვალდებულია მოამზადოს და განახორციელოს ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმა, რომელიც თანხმდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მის განხილვაში ჩართული უნდა იქნენ დაინტერესებული მხარეები.
[საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 ივლისის დადგენილება №368 „ტექნიკური რეგლამენტის - გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების წესის“ დამტკიცების შესახებ]().	რეგლამენტი შემუშავებულია „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის შესაბამისად და ადგენს გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების და მიყენებული ზიანის ფულადი ანაზღაურების წესს. რეგლამენტით დგინდება

	თევზისა და სხვა ჰიდრობიონტებისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების წესი, მათ შორის უკანონო თევზჭერით და სხვა ჰიდრობიონტების უკანონო მოპოვებით მიყენებული ზიანის, ასევე, თევზებისთვის, უხერხემლოებისთვის, აგრეთვე წყლის მცენარეებისთვის აღწარმოების პირობების გაუარესებით გამოწვეული მავნე ზემოქმედების. რეგლამენტით დადგენილია თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების უკანონო მოპოვების შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა თევზის სახეობების მიხედვით.
საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ (15/12/1984). კანონი მიღებულია 1984 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2024 წელს.	კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სახდელები (გაფრთხილება, ჯარიმა, სამართალდარღვევის ჩადენის იარაღისა და ობიექტის უსასყიდლო ჩამორთმევა) გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, მათ შორის თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების, ასევე აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების წესების დარღვევისათვის. ადმინისტრაციული სახდელის დადება არ ათავისუფლებს სამართალდამრღვევს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან.
საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ (22/07/1999). კანონი მიღებულია 1999 წელს, ბოლო ცვლილებები შეტანილია 2023 წელს.	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლის-სამართლებრივ ღონისძიებას.იმ შემთხვევაში, თუ თევზჭერისა და თევზის მარაგის წესების დარღვევის შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანი გადააჭარბებს 2000 ლარს, დადგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (ჯარიმა ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე). სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს ასევე უკანონო თევზჭერა ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ 100 ტონის ან 100 ტონაზე ნაკლები საერთო ტევადობისა და 8 მეტრი ან 8 მეტრზე მეტი სიგრძის წყლის სატრანსპორტო საშუალებიდან ან 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალებიდან თევზსარეწი იარაღით, „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების უკანონოდ მოპოვება ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით, სხვა აკრძალული

	იარაღით, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებით ან თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებით უკანონო თევზჭერა და სხვა.
[საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ (08/05/2012)](#) **და** [სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №533 (16/10/2015)](#).	კოდექსისა და მის საფუძველზე მიღებული დადგენილების მიხედვით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში არსებული სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს სურსათის წარმოების (მათ შორის პირველადი წარმოების), გადამუშავებისა და დისტრიბუციის, ასევე ვეტერინარული პრეპარატების, ბიზნეს-ოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის სახელმწიფო კონტროლს. კოდექსით განსაზღვრულია სურსათის/ცხოველის საკვების და ცხოველთა ჯანმრთელობის ძირითადი პრინციპები, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ვეტერინარიის მოთხოვნები თევზჭერა მიეკუთვნება პირველად წარმოებას, ხოლო თევზჭერის შედეგად მიღებული პროდუქტი - პირველად პროდუქტს. ბიზნეს-ოპერატორი (პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის წარმოებას, პირველად წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე ვეტერინარიის სფეროში მომსახურებას) ვალდებულია, ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს, მიკვლევადობის განსახორციელებლად, ასევე დანერგილი უნდა ჰქონდეს სურსათის უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად. სავალდებულოა ბიზნეს-ოპერატორების რეგისტრაცია. რეგისტრაცია წარმოადგენს ეტაპს, როდესაც პირი ახდენს თავისი სურვილის დეკლარირებას, რომ მისი საქმიანობა დაკავშირებულია ან დაკავშირებული იქნება ერთის მხრივ სამეწარმეო საქმიანობასთან, ხოლო მეორეს მხრივ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან (მათ შორის პირველად წარმოებასთან), მის გადამუშავებასა თუ დისტრიბუციასთან (მათ შორის რეალიზაციასთან).
[„სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის](#)	ამ წესით დადგენილია გამონაკლისები ბიზნეს-ოპერატორების სავალდებულო რეგისტრაციის

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №14 (09/01/2020).	ვალდებულებიდან. კერძოდ, ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაციას არ საჭიროებს პირი, რომელიც წარმოების (მათ შორის პირველადი წარმოების) ეტაპზე ფლობს არაორგანიზებულად მწარმოებელ ოჯახური წარმოების სუბიექტზე მეტ ცხოველის/ფრინველის სახეობა ან/და მიწის ნაკვეთს და მათგან აწარმოებს სურსათის/ცხოველის საკვებს, შემდგომში მისი დისტრიბუციის (რეალიზაციის) მიზნით. სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების (მათ შორის პირველადი წარმოების) ეტაპზე განასხვავებენ მწარმოებლების 2 ტიპს, ოჯახური წარმოების სუბიექტი და ბიზნესოპერატორი. ოჯახური წარმოების სუბიექტი, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას პირადი მოხმარების მიზნით, არ საჭიროებს რეგისტრაციას. თუ ოჯახური წარმოების სუბიექტის სურსათს/ცხოველის საკვებს ამზადებს არაორგანიზებულად, დისტრიბუციის (მათ შორის რეალიზაციის) მიზნით, ის საჭიროებს რეგისტრაციას სურსათის ეროვნულ სააგენტოში თუ მას ყავს მაგალითად 5 სულზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი, 300 ფრთაზე მეტი ფრინველი, 2 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეოს დანიშნულების მიწის ნაკვეთი და სხვა. მაგრამ, არ არის განსაზღვრული კრიტერიუმები აკვაკულტურის საქმიანობის ან თევზჭერის მიმართ.
სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ საქართველოს მთავრობის №173 დადგენილება (25/06/2010).	ეს წესი ადგენს ზოგად ჰიგიენურ მოთხოვნებს სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის მიმართ და ვრცელდება როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე.
ბიზნეს ოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №722 დადგენილება (26/12/2014).	ბიზნესოპერატორის აღიარების წესი ადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის აღიარების ზოგად პრინციპებსა და პროცედურებს. ბიზნესოპერატორის აღიარებას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო. სავალდებულოა ყველა იმ ბიზნესოპერატორის აღიარება, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ცხოველური

	წარმოშობის სურსათის წარმოებასთან ან/და გადამუშავებასთან. წესის თანახმად, აღიარებას არ საჭიროებს ის ბიზნეს-ოპერატორები, რომლებიც ახორციელებს ოჯახურ წარმოებას, პირველად წარმოებას, საცალო ვაჭრობას და ა.შ.
ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ საქართველოს მთავრობის №90 დადგენილება (07/03/2012).	ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესი ადგენს სპეციალურ ჰიგიენურ მოთხოვნებს ბიზნესოპერატორისათვის, რომელიც ეწევა ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, გადამუშავებასა და დისტრიბუციას. აღნიშნული წესი ვრცელდება თევზჭერის შედეგად მირებულ პროდუქტებზე, მათ შორის, ზღვასა და მტკნარ წყლებში მოპოვებულ ველურ ან მოშენებულ ცხოველებზე და მათ საკვებად გამოსაყენებლ ნაწილებზე, თევზჭერის ახალ, დამზადებულ და გადამუშავებულ პროდუქტებზე. წესით განსაზღვრულია სპეციალური მოთხოვნები თევზსაჭერი გემების მიმართ, თევზჭერის პროდუქტის ხმელეთზე ჩამოტვირთვისა და შემდგომის პროცესის მიმართ, მოთხოვნები იმ საწარმოებისა და გემების მიმართ, რომლებიც ეწევიან თევზჭერის პროდუქტების გადამუშავებას, მოთხოვნები პარაზიტების შემცირებისა და აღმოფხვრისათვის, მოთხოვნების გადამუშავებული თევზჭერის პროდუქტების, მათი შეხვევის და შეფუთვის, შენახვის, ტრანსპორტირების მიმართ. განსაზღვრულია ასევე მოთხოვნები ცოცხალი ორსაგდულიანი მოლუსკების მიმართ.
საქართველოს მთავრობის დადგენილება №22 ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ (18/01/2016).	რეგლამენტი მიზნად ისახავს მიზნად ისახავს ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და ადგენს ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის ორგანიზებისა და განხორციელების წესს.
საქართველოს მთავრობის დადგენილება №499 ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების გამოკვლევისათვის ანალიზის მეთოდების განხორციელებისა და შედეგების	რეგლამენტი ადგენს ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების გამოკვლევისათვის ანალიზის მეთოდების განხორციელების და ლაბორატორიების მიერ ჩატარებული ანალიზების შედეგების ინტერპრეტაციისთვის საერთო კრიტერიუმებს.

ინტერპრეტაციის წესის დამტკიცების შესახებ (08/11/2016). დადგენილება ძალაში შევიდა 2019 წლის 1-ელ იანვარს. დადგენილებას ძალა დაეკარგა 2023 წლის 1-ელ სექტემბერს.	
საქართველოს მთავრობის დადგენილება №212 ტექნიკური რეგლამენტის – სასურსათო დანიშნულების ცხოველებში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (სუბსტანციების) ნარჩენების ანალიზის მეთოდების განხორციელების, ნიმუშის აღებისა და შედეგების ინტერპრეტაციის წესის დამტკიცების შესახებ (05/06/2023). დადგენილებამ ჩაანაცვლა მთავრობის 499-ე დადგენილება (2016) და ძალაში შევიდა 2023 წლის 1-ელ სექტემბერს.	რეგლამენტი ადგენს ცოცხალ სასურსათო დანიშნულების ცხოველში, მათი სხეულის ნაწილებსა და ბიოლოგიურ სითხეებში, ექსკრემენტებში, ქსოვილებში, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში, ცხოველური წარმოშობის სუბ-პროდუქტებში, ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტებში (ცწადპ), ცხოველის საკვებსა და ცხოველისთვის განკუთვნილ წყალში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (სუბსტანციების) ნარჩენების ანალიზისთვის გამოყენებული ნიმუშების აღებისა და ლაბორატორიული ანალიზის მეთოდებს, ასევე ადგენს ლაბორატორიული ანალიზის შედეგების ინტერპრეტაციის წესებს.
სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება (09/11/2015).	ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სხვადასხვა დასახელების სურსათისათვის დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურად დასაშვებ ზღვარს და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. რეგლამენტის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვა სურსათთან დაკავშირებულ ქიმიურ რისკებთან მიმართებაში. სურსათი, რომელიც დამაბინძურებლებს (კონტამინანტებს) შეიცავს ამ ტექნიკური რეგლამენტის სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) დასაშვები მაქსიმალური ზღვარით (დანართით) განსაზღვრულ დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარზე მეტი ოდენობით, არ უნდა იქნეს განთავსებული ბაზარზე უშუალოდ მოხმარებისათვის, სხვა სურსათთან შერეული, არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც სურსათის შემადგენელი ინგრედიენტი.
ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების (კონტამინანტები) რაოდენობის კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ	ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ტყვიის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, არაორგანული კალის, არაორგანული დარიშხანის, 3-მონოქლორპროპან -1,2 დიოლის (შემდგომში - 3-MCPD), 3-MCPD ცხიმოვანი მჟავების ეთერების,

საქართველოს მთავრობის დადგენილება №547 (13/12/2016).	გლიციდილის ცხიმოვანი მჟავის რთული ეთერების, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების (შემდგომში – პან), პერქლორატებისა და ასევე აკრილამიდის რაოდენობის დადგენისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს განსაზღვრული დამაბინძურებლებისა (კონტამინანტებისა) და ასევე აკრილამიდის რაოდენობის ლაბორატორიული გამოკვლევისათვის სახელმწიფო კონტროლის დროს ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდებს.
ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №605 (29/12/2017).	რეგლამენტის თანახმად, 2019 წლის 1-ელი ივლისიდან სახელმწიფო კონტროლს და აღიარებას დაექვემდებარა თევზის ფქვილის მწარმოებელი ბიზნესოპერატორები, ხოლო 2023 წლის 1-ელი იანვრიდან - თევზის ქონის მწარმოებელი ბიზნესოპრეატორებიც. ამ წესით დადგენილია ცხოველებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის წესები ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა, მათ შორის ცხოველური ნარჩენებისა (შემდგომში – ცწადპ) და მეორეული პროდუქტისათვის, მათ მიერ შექმნილი საზოგადოებრივი და ცხოველთა ჯანმრთელობის რისკების პრევენციისა და მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით კი ცხოველის საკვებისა და სასურსათო ჯაჭვის უვნებლობის დასაცავად. ეს წესი ვრცელდება თევზჭერის საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილ მასალაზე, რომელიც წარმოიქმნება გემის ბორტზე ადამიანზე გადამდები დაავადების ნიშნების მქონე (მათ შორის პარაზიტების) თევზის გამოშიგვნის შედეგად. აღნიშნული წესით აკრძალულია ფერმის თევზის კვება გადამუშავებული ცხოველური ცილით, რომელიც მიღებულია ფერმის იგივე სახეობის თევზის სხეულისგან ან სხეულის ნაწილებისგან. წესით დადგენილია გადამუშავების სტანდარტები თევზის მასალის დასილოსებისთვის. იდენტიფიკაციის მოთხოვნები თევზის და თევზის საკვებად გამოყენებული თევზიდან მიღებული მეორეული პროდუქტის შემთხვევაში; ჩანაწერებთან დაკავშირებული მოთხოვნები წყლის ცხოველებისგან მიღებულ ცწადპ-თან და თევზის კვებასთან დაკავშირებით.

ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №463 (20/09/2019).	ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის მიზანია ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის (ვეტერინარული კონტროლი) განხორციელების პროცედურების დადგენა, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოტანის ან/და გადაადგილების პირობებისა და სავალდებულო ქმედებების განსაზღვრა ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (WOAH) და გაერთიანებული ერების სოფლის მეურნეობისა და სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) პრინციპების გათვალისწინებით. წესი მოიცავს იმ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალს, რომლებზეც ვრცელდება ვეტერინარული კონტროლის წესი.
ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №147 (02/04/2021).	წესით განსაზღვრულია ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემის პირობების ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს. სერტიფიკატი გაიცემა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, ასევე შემოსავლების სამსახურის მიერ საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ კონტროლის ზონებში თუ არ არის ცხოველების კარანტინში განთავსების ან ანალიზისთვის ნიმუშების აღების საჭიროება.
აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №594 (28/12/2017).	აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასა და მის პროდუქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და წყლის ცხოველის ზოგიერთი დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესი ადგენს: ა) აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობასთან და მის პროდუქტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ბაზარზე განთავსების, იმპორტის და ტრანზიტის დროს; ბ) აკვაკულტურის ცხოველების დაავადებების შესახებ მინიმალურ პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სააგენტოს, აკვაკულტურის მწარმოებელი ბიზნესოპერატორის და ამ ინდუსტრიის სხვა წარმომადგენლებისათვის ცნობიერების ამაღლებასა და მზადყოფნისაკენ; გ) მინიმალურ კონტროლის ღონისძიებებს, რომლებიც გატარებული უნდა იქნეს წყლის ცხოველებში ზოგიერთ დაავადებებზე ეჭვის არსებობისას ან აფეთქების დროს.

აკვაკულტურისა და მისი პროდუქტების ბაზარზე განთავსებისა და იმპორტის პირობების, სერტიფიცირების მოთხოვნებისა და ვექტორული სახეობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება №597 (29/12/2017).	ამ წესით დადგენილია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პირობები წყლის დეკორატიული ცხოველების ბაზარზე განთავსებისთვის, ასევე ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიცირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები აკვავულტურის ცხოველებისთვის, რომლებიც გამიზნულია მოშენებისთვის, ასევე ადამიანების მიერ მოხმარებისთვის, ასევე ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის პირობები და სერტიფიცირების მოთხოვნები ქვეყანაში იმპორტისა და ტრანზიტის განხორციელებისთვის. წესით ასევე დადგენილია ვექტორული სახეობების ჩამონათვალი.

II. შავ ზღვაში თევზჭერის განახლებული ლიცენზია (2016) და ლიცენზიის პირობების ცვლილებები (2016-2023)	
საქართველოს მთავრობის №696 განკარგულება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და სალიცენზიო პირობების შეცვლის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (22/04/2016).	საქართველოს მთავრობის №696 განკარგულებით გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეცა თანხმობა, გაეგრძელებინა შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიების ვადა 2026 წლის 1-ელ სექტემბრამდე. ამასთან, განკარგულებაში აღინიშნა, რომ ლიცენზიის გამცემმა უზრუნველყოს ცვლილებების შეტანა და მათი ჩამოყალიბება განკარგულების დანართებში მოცემული პირობების შესაბამისად. ამავე განკარგულებით, კვოტის დამტკიცების მიზნით საჭირო კვლევების ჩატარება და შესაბამისი დასკვნის მომზადება დაევალა გარემოს ეროვნულ სააგენტოს (ლიცენზიის გამცემს), განსხვავებით წინა პერიოდისაგან, როცა აღნიშნული კვლევების ჩატარება იყო ლიცენზიანტების ვალდებულება. ლიცენზიის პირობებში მიეთითა შემდეგი ვალდებულებები ლიცენზიის მფლობელის მიმართ: a) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, არაუგვიანეს 2020 წლის პირველი იანვრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს საქართველოში რეგისტრირებული არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემი და ერთი გადამზიდი გემი (ტრანსპორტერი). ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვროს 20 (ოცი) ერთეულით. b) 2018 წლის პირველი იანვრიდან ლიცენზიის მოქმედების ვადის დასრულებამდე თითოეულ თევზჭერის სეზონზე (პირველი ოქტომბრიდან მომდევნო წლის პირველ ოქტომბრამდე, ხოლო ლიცენზიის ბოლო თევზჭერის სეზონის შემთხვევაში, პირველი ოქტომბრიდან 2026 წლის პირველ სექტემბრამდე) მოპოვებული რესურსის არანაკლებ 70% საბოლოო პროდუქტად გადაამუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, არანაკლებ 10%-ით აწარმოოს კომბინირებული საკვები და არანაკლებ 5%-ით აწარმოოს სასურსათო კონსერვირებული პროდუქტი. თევზჭერის ლიცენზიანტმა საბოლოო პროდუქციის წარმოებისას უნდა დაიცვას მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა და

	ევროკავშირის აქტები. (საბოლოო პროდუქტად მიიჩნევა სასურსათო საკონსერვო წარმოება, თევზის, ფქვილისა და ზეთის წარმოება, შებოლვა, კომბინირებული საკვების წარმოება, დამარილება და გაყინვა). c) უზრუნველყოს, რომ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის პირველ იანვრამდე თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა არანაკლებ 30% იყოს აკრედიტებული/ავტორიზებული სასწავლო დაწესებულების მიერ დიპლომირებული ან სერტიფიცირებული შესაბამისი პროფესიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, 2019 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის პირველ იანვრამდე წლის განმავლობაში არანაკლებ 50%, ხოლო 2023 წლის პირველი იანვრიდან ლიცენზიის მოქმედების პერიოდში არანაკლებ 80%. d) არა უგვიანეს 2017 წლის პირველი ოქტომბრისა, ჭერილის რეალურ დროში კონტროლისათვის გემზე დაამონტაჟოს ელექტრონული მონიტორინგის სისტემა და აწარმოოს ელექტრონული თევზჭერის ჟურნალი. e) საკუთარი კვოტის ფარგლებში გამოყოს რესურსის 12%-ით სარგებლობის უფლება, რომელიც ლიცენზიანტის მიერ თანაბრად განაწილდება დანართით განსაზღვრული თევზსაჭერი გემების მესაკუთრეებს შორის. (სარგებლობის უფლების გადაცემისთვის თევზსაჭერი გემების მესაკუთრე(ები)სგან მოითხოვოს მხოლოდ „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004) განსაზღვრული შესაბამისი მოსაკრებლის ტოლფასი თანხა, შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის ტოლფასი თანხა, რეგულირების საფასურის ტოლფასი თანხა). f) სალიცენზიო პირობებისა და ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, ყოველწლიურად, არა უგვიანეს პირველი ნოემბრისა წარადგინოს აუდიტორული მომსახურების გამწევი იურიდიული პირის მიერ გაცემული დასკვნა.
<u>აღნიშნულ განკარგულებაში შესული ცვლილებები:</u>	
12/31/2018 N 2570	2018 წლის 31 დეკემბერის N2570 განკარგულებით შევიდა ცვლილებები №696 განკარგულებაში.

	შეტანილი ცვლილებებით შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიების ვადა გაგრძელდა 2036 წლის 1-ელ სექტემბრამდე (გარდა ერთი ლიცენზიისა - №1000021, რომლის მოქმედების ვადა დარჩა უცვლელი - 2026 წლის 1-ელ სექტემბრამდე). გარკვეული ცვლილებები შევიდა ასევე სალიცენზიო პირობებშიც და მიეთითა შემდეგი ვალდებულებები ლიცენზიის მფლობელის მიმართ: a) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს საქართველოში რეგისტრირებული არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემი და ერთი გადამზიდი გემი (ტრანსპორტერი). ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვროს 22 (ოცი) ერთეულით. №1000021 ლიცენზიის გარდა, ყველა ლიცენზიებზე, 2026 წლის 1-ელი სექტემბრიდან ზღვრულად დასაშვები თევსაჭერი გემების ოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 17 ერთეულით. b) 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან ლიცენზიის მოქმედების ვადის დასრულებამდე თითოეულ თევზჭერის სეზონზე (პირველი ოქტომბრიდან მომდევნო წლის პირველ ოქტომბრამდე, ხოლო ლიცენზიის ბოლო თევზჭერის სეზონის შემთხვევაში, პირველი ოქტომბრიდან 2036 წლის პირველ სექტემბრამდე) მოპოვებული რესურსის არანაკლებ 80% საბოლოო პროდუქტად გადაამუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე. (საბოლოო პროდუქტად მიიჩნევა სასურსათო საკონსერვო წარმოება, თევზის ან/და სხვა ჰიდრობიონტების, ფქვილისა და ზეთის წარმოება, შებოლვა, კომბინირებული საკვების წარმოება, დამარილება და გაყინვა). c) 2023 წლამდე თითოეულმა ლიცენზიის მფლობელმა დამოუკიდებლად ან სხვა ლიცენზიანტებთან ერთად უზრუნველყოს, ევროკავშირის სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, ნავმისადგომის მოწყობა, სადაც შესაძლებელი უნდა იყოს ერთდროულად არანაკლებ 3 ერთეული გემის მიღება და მათგან თევზის გადმოტვირთვის სამუშაოების განხორციელება. თითოეული ლიცენზიის მფლობელი აგრეთვე ვალდებულია, 2023 წლის 1-ელ ოქტომბრამდე უზრუნველყოს

	აკვაკულტურის/მარიკულტურის მიმართულების განვითარება, სადაც განხორციელდება ყოველწლიურად არანაკლებ 300 ტონა თევზის ან/და სხვა ჰიდრობიონტების რესურსის მოშენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან 2023 წლის 1-ელ ოქტომბრამდე დამოუკიდებლად ან სხვა ლიცენზიანტებთან ერთად უზრუნველყოს კომბინირებული საკვების დამამზადებელი ქარხნის მოწყობა, ან 2023 წლის 1-ელ ოქტომბრამდე დამოუკიდებლად ან სხვა ლიცენზიანტებთან ერთად უზრუნველყოს თევზის საკონსერვო ქარხნის მოწყობა. ამ პუნქტში მითითებლი ვალდებულებებიდან არც ერთის შეუსრულებლობა წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმების უპირობო საფუძველს.
05/21/2019 N 1162	2019 წლის 21 მაისის N1162 განკარგულებით შევიდა ცვლილებები №696 განკარგულებაში. შეტანილი ცვლილებებით, განისაზღვრა, რომ გემების რეესტრით გათვალისწინებული თევზსაჭერი გემების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, თევსაჭერი გემების მესაკუთრეებზე გამოსაყოფი რესურსის ოდენობის ახალი პროცენტული მნიშვნელობა დადგინდება მომდევნო თევზჭერის სეზონიდან. ამასთან, დამატებული გემის მესაკუთრეს გამოყოფილი რესურსის 12%-ის ფარგლებში შესაბამისი სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ მომდევნო თევზჭერის სეზონიდან.
10/25/2019 N 2250	2019 წლის 25 ოქტომბრის N2250 განკარგულებით შევიდა ცვლილებები №696 განკარგულებაში. გარკვეული ცვლილებები შევიდა სალიცენზიო პირობებშიც და მიეთითა შემდეგი ვალდებულებები ლიცენზიის მფლობელის მიმართ: d) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემისა. ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვროს 22 (ოცი) ერთეულით. №1000021 ლიცენზიის გარდა, ყველა ლიცენზიებზე, 2026 წლის 1-ელი სექტემბრიდან ზღვრულად დასაშვები თევსაჭერი გემების ოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 17 ერთეულით. e) შავ ზღვაში თევზჭერის №1000021 ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ლიცენზიის

	მოქმედების პერიოდში, არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემი და ერთი გადამზიდი გემისა (ტრანსპორტერი). f) 2023 წლამდე თითოეულმა ლიცენზიის მფლობელმა დამოუკიდებლად ან სავალდებულო მონაწილეობით, უზრუნველყოს ნავმისადგომის მოწყობა (ახალი ნავმისადგომის მშენებლობა და მოწყობა ან ლიცენზიანტის სარგებლობაში არსებული ნავმისადგომის მოწყობა) ევროპული პრაქტიკის შესაბამისად და არანაკლებ ლიცენზიის მოქმედების ვადაში ფუნქციონირება, სადაც შესაძლებელი უნდა იყოს ერთდროულად არანაკლებ 3 ერთეული გემის მიღება და მათგან თევზის გადმოტვირთვის სამუშაოების განხორციელება. თითოეული ლიცენზიის მფლობელი აგრეთვე ვალდებულია, 2023 წლის 1-ელ ოქტომბრამდე უზრუნველყოს აკვაკულტურის/მარიკულტურის მიმართულების განვითარება, სადაც განხორციელდება ყოველწლიურად არანაკლებ 300 ტონა თევზის ან/და სხვა ჰიდრობიონტების რესურსის მოშენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან 2023 წლის 1-ელ ოქტომბრამდე უზრუნველყოს კომბინირებული საკვების დამამზადებელი ქარხნის მოწყობა, ან 2023 წლის 1-ელ ოქტომბრამდე უზრუნველყოს თევზის საკონსერვო ქარხნის მოწყობა. ამ პუნქტში მითითებლი ვალდებულებებიდან არც ერთის შეუსრულებლობა წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმების უპირობო საფუძველს. g) უზრუნველყოს, რომ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის პირველ იანვრამდე თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა არანაკლებ 30% იყოს აკრედიტებული/ავტორიზებული სასწავლო დაწესებულების მიერ დიპლომირებული ან სერტიფიცირებული შესაბამისი პროფესიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, 2019 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის პირველ იანვრამდე თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობის - წლის განმავლობაში არანაკლებ 50%, ხოლო 2023 წლის პირველი იანვრიდან ლიცენზიის მოქმედების პერიოდში

	დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობის - არანაკლებ 80%. h) ლიცენზიანტის საკუთრებაში არსებული თევზსაჭერი გემის რეგისტრაცია დასაშვებია როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყანაში. ლიცენზიანტი უფლებამოსილია, ამ მიზნით დააფუძნოს ფილიალი საქართველოს ფარგლებს გარეთ. i) განკარგულების მიღებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის მფლობელი წარუდგენს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ინფორმაციას ახალი ნავმისადგომის მშენებლობისა და მოწყობის ან სარგებლობაში არსებული ნავმისადგომის მოწყობის შესახებ.
29/04/2021 N 684	2021 წლის 29 აპრილის N684 განკარგულებით შევიდა ცვლილებები №696 განკარგულებაში. გარკვეული ცვლილებები შევიდა სალიცენზიო პირობებშიც და მიეთითა შემდეგი ვალდებულებები ლიცენზიის მფლობელის მიმართ: j) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემისა. ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვროს 22 (ოცი) ერთეულით. №1000021 ლიცენზიის გარდა, ყველა ლიცენზიებზე, 2026 წლის 1-ელი სექტემბრიდან ზღვრულად დასაშვები თევსაჭერი გემების ოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 17 ერთეულით. k) 2024 წლამდე თითოეულმა ლიცენზიის მფლობელმა დამოუკიდებლად ან სავალდებულო მონაწილეობით, უზრუნველყოს ნავმისადგომის მოწყობა (ახალი ნავმისადგომის მშენებლობა და მოწყობა ან ლიცენზიანტის სარგებლობაში არსებული ნავმისადგომის მოწყობა) ევროპული პრაქტიკის შესაბამისად და არანაკლებ ლიცენზიის მოქმედების ვადაში ფუნქციონირება, სადაც შესაძლებელი უნდა იყოს ერთდროულად არანაკლებ 3 ერთეული გემის მიღება და მათგან თევზის გადმოტვირთვის სამუშაოების განხორციელება. თითოეული ლიცენზიის მფლობელი აგრეთვე ვალდებულია, 2024 წლის 1-ელ ოქტომბრამდე უზრუნველყოს აკვაკულტურის/მარიკულტურის

	მიმართულების განვითარება, სადაც განხორციელდება ყოველწლიურად არანაკლებ 300 ტონა თევზის ან/და სხვა ჰიდრობიონტების რესურსის მოშენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან 2023 წლის 1-ელ ოქტომბრამდე უზრუნველყოს კომბინირებული საკვების დამამზადებელი ქარხნის მოწყობა, ან 2024 წლის 1-ელ ოქტომბრამდე უზრუნველყოს თევზის საკონსერვო ქარხნის მოწყობა ან 2024 წლის 1-ელ ოქტომბრამდე უზრუნველყოს თევზის ზეთის გადამამუშავებელი (რაფინირებული ან ნახევრად რაფინირებული) ქარხნის მოწყობა. ამ პუნქტში მითითებლი ვალდებულებებიდან არც ერთის შეუსრულებლობა წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმების უპირობო საფუძველს. l) უზრუნველყოს, რომ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის პირველ იანვრამდე თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა არანაკლებ 30%-ისა, ხოლო 2019 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობის არანაკლებ 50%-ისა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი განათლების დიპლომირებული ან სერტიფიცირებული შესაბამისი პროფესიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, m) უზრუნველყოს, რომ 2021 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის პირველ ოქტომბრამდე თევზჭერის პროცესში ლიცენზიანტების მიერ დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის არანაკლებ 30%-ისა, იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი განათლების დიპლომირებული ან/და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაცემული კომპეტენციის ან სხვა სერტიფიკატის მფლობელი საქართველოს მოქალაქე, n) უზრუნველყოს, რომ 2022 წლის პირველ ოქტომბრიდან 2023 წლის პირველ ოქტომბრამდე თევზჭერის პროცესში ლიცენზიანტების მიერ დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის არანაკლებ 50%-ისა, იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი განათლების დიპლომირებული ან/და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაცემული

	კომპეტენციის ან სხვა სერტიფიკატის მფლობელი საქართველოს მოქალაქე, o) უზრუნველყოს, რომ 2023 წლის პირველი ოქტომბრიდან ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ყოველ თევზჭერის სეზონზე თევზჭერის პროცესში ლიცენზიანტების მიერ დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის არანაკლებ 80%-ისა, იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უმაღლესი განათლების დიპლომირებული ან/და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაცემული კომპეტენციის ან სხვა სერტიფიკატის მფლობელი საქართველოს მოქალაქე,
07/06/2022 N 999	2022 წლის 7 ივნისის N999 განკარგულებით შევიდა ცვლილებები №696 განკარგულებაში. გარკვეული ცვლილებები შევიდა სალიცენზიო პირობებშიც და მიეთითა შემდეგი ვალდებულებები ლიცენზიის მფლობელის მიმართ: a) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემისა. ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვროს 22 (ოცი) ერთეულით. №1000021 ლიცენზიის გარდა, ყველა ლიცენზიებზე, 2026 წლის 1-ელი სექტემბრიდან ზღვრულად დასაშვები თევსაჭერი გემების ოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 17 ერთეულით. b) 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან (ხოლო №1000021 ლიცენზიის მფლობელმა 2022 წლის პირველი ოქტომბრიდან) ლიცენზიის მოქმედების ვადის დასრულებამდე თითოეულ თევზჭერის სეზონზე (პირველი ოქტომბრიდან მომდევნო წლის პირველ ოქტომბრამდე, ხოლო ლიცენზიის ბოლო თევზჭერის სეზონის შემთხვევაში, პირველი ოქტომბრიდან 2036 წლის პირველ სექტემბრამდე) მოპოვებული რესურსის არანაკლებ 80% საბოლოო პროდუქტად გადაამუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე. (საბოლოო პროდუქტად მიიჩნევა სასურსათო საკონსერვო წარმოება, თევზის ან/და სხვა ჰიდრობიონტების, ფქვილისა და ზეთის წარმოება, შებოლვა,

	კომბინირებული საკვების წარმოება, დამარილება და გაყინვა).
29/08/2023 N 1552	2023 წლის 29 აგვისტოს N1552 განკარგულებით შევიდა ცვლილებები №696 განკარგულებაში. გარკვეული ცვლილებები შევიდა სალიცენზიო პირობებშიც და მიეთითა შემდეგი ვალდებულებები ლიცენზიის მფლობელის მიმართ: a) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემისა. ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვროს 22 (ოცი) ერთეულით. b) 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან (ხოლო №1000021 ლიცენზიის მფლობელმა 2022 წლის პირველი ოქტომბრიდან) ლიცენზიის მოქმედების ვადის დასრულებამდე თითოეულ თევზჭერის სეზონზე (პირველი ოქტომბრიდან მომდევნო წლის პირველ ოქტომბრამდე, ხოლო ლიცენზიის ბოლო თევზჭერის სეზონის შემთხვევაში, პირველი ოქტომბრიდან 2036 წლის პირველ სექტემბრამდე) მოპოვებული რესურსის არანაკლებ 80% საბოლოო პროდუქტად გადაამუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე. (საბოლოო პროდუქტად მიიჩნევა სასურსათო საკონსერვო წარმოება, თევზის ან/და სხვა ჰიდრობიონტების, ფქვილისა და ზეთის წარმოება, შებოლვა, კომბინირებული საკვების წარმოება, დამარილება და გაყინვა). c) 2026 წლიდან თითოეულმა ლიცენზიის მფლობელმა დამოუკიდებლად ან სავალდებულო მონაწილეობით, თევზჭერის ყოველ სეზონზე უზრუნველყოს, რომ საკუთრების, სარგებლობის ან მომსახურების ხელშეკრულებით ჰქონდეს ევროპული პრაქტიკის შესაბამისად მოწყობილი ნავმისადგომი. d) თითოეული ლიცენზიის მფლობელი აგრეთვე ვალდებულია, 2026 წლის 1-ელ ოქტომბრამდე, დამოუკიდებლად ან სავალდებულო მონაწილეობით უზრუნველყოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის შესრულება: (1) შიდა წყლის აკვაკულტურის ან მარიკულტურის მიმართულების განვითარება და ისეთი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სადაც

	განხორციელდება ყოველწლიურად არანაკლებ 300 ტონა თევზის ან/და სხვა ჰიდრობიონტების რესურსის მოშენება; (2) კომბინირებული საკვების დამამზადებელი ქარხნის მოწყობა; (3) თევზის საკონსერვო ქარხნის მოწყობა; (4) თევზის ზეთის გადამამუშავებელი (რაფინირებული ან ნახევრად რაფინირებული) ქარხნის მოწყობა. ამ პუნქტში მითითებლი ვალდებულებებიდან ლიცენზიის მფლობელის მიერ არჩეული ერთ-ერთი პუნქტის შეუსრულებლობა გამოიწვევს ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. თითოეული ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, 2024 წლამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგინოს აღნიშნული ვალდებულებების შესრულების გეგმა-გრაფიკი.

III. საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო და რეგიონული კონვენციები თევზის რესურსების დაცვისა და მდგრადი სარგებლობის მიმართებით	
შეთანხმება და საქართველოს მიერ რატიფიცირების ან/და შეერთების თარიღი	**თევზის რესურსების დაცვისა და მდგრადი სარგებლობის კუთხით განსაზღვრული ვალდებულებების მოკლე მიმოხილვა**
კონვენცია შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ (ბუქარესტის კონვენცია) (1992). კონვენციას ხელი მოეწერა 1992 წლის 21 აპრილს შავი ზღვის ექვსივე ქვეყნის მიერ. კონვენციის რატიფიცირება საქართველოს მიერ მოხდა 1993 წლის 1-ელ სექტემბერს და ძალაში შევიდა 1994 წლის 15 იანვარს.	ბუქარესტის კონვენცია უზრუნველყოფს ერთობლივ და კოორდინირებულ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია შავი ზღვის ეკოსისტემის გაუმჯობესებისა და სანაპირო ქვეყნების მდგრადი განვითარებისაკენ. ბუქარესტის კონვენციის განმახორციელებელია „შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კომისია“, რომელიც ექვსივე მხარე ქვეყნის წარმომადგენლობისგან შედგება. კონვენციის მე-13 მუხლით მოითხოვება შავი ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის გათვალისწინება. კონვენციის შესრულების მიზნით პერიოდულად მიშავდება სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომელიც ზღვის დაცვის საერთაშორისო ზომებთან ერთად თითოეული ქვეყნის მიერ შესაბამისი ეროვნული სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებას ითვალისწინებს.
შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის ოქმი შავი ზღვის ბიოლოგიური მრავალფეროვნების და ლანდშაფტების შენარჩუნების შესახებ (2002). ოქმი რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 2009 წლის 24 სექტემბერს.	ოქმის მიზანია შავი ზღვის ეკოსისტემის და მისი ლანდშაფტების შენარჩუნება სახარბიელო ეკოლოგიურ მდგომარეობაში. ასევე, ბიოლოგიური რესურსების გამდიდრების მიზნით, ხელსაყრელ პირობებში, დაიცვას, შეინარჩუნოს და მდგრადად მართოს შავი ზღვის ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. ოქმის მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ეკონომიკური მნიშვნელობის სახეობების მდგრადი გამოყენება, სახეობებისა და ჰაბიტატების სახარბიელო მდგომარეობის აღდგენა და შენარჩუნება.
შავი ზღვის საერთო დღის წესრიგი (Coomon Maritime Agenda for the Black Sea (CMA)) (2019). ხელმოწერილია საქართველოს მიერ 2019 წლის 21 მაისს.	დოკუმენტის მიზანია რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა უფრო მდგრადი ლურჯი ეკონომიკისათვის შავი ზღვის აუზში. დღის წესრიგი აერთიანებს სამ ძირითად მიზანს: ჯანსაღი საზღვაო და სანაპირო ეკოსისტემები; კონკურენტუნარიანი, ინოვაციური და მდგრადი ლურჯი ეკონომიკა შავი ზღვისათვის; ინვესტიციების მოზიდვა შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკის განვითარების მიზნით.
გაეროს კონვენცია ზღვის კანონის შესახებ (UNCLOS) (1982). კონვენციას საქართველო შეუერთდა 1996 წლის 21 მარტს.	კონვენციის 61-ე მუხლი ეძღვნება ცოცხალი რესურსების კონსერვაციას და ავალდებულებს ქვეყნებს, განსაზღვრონ ჭერის ნებადართული მოცულობა მათ ეკონომიკურ ზონაში, საუკეთესო სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით, რათა თავიდან იქნას აცილებული

	გადაჭარბებული მოპოვება, რაც საფრთხეს უქმნის ცოცხალ რესურსებს. ქვეყნებმა ასევე უნდა განახორციელონ სარეწი თევზების პოპულაციების აღდგენის ღონისძიებები, იმ თემების საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ეწევიან სანაპირო თევზჭერას. ქვეყნებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ შესაბამისი სამეცნიერო ინფორმაცია, თევზჭერასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, თევზის კონსერვაციასთან დაკავშირებული მონაცემები. კონვენციის 62-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას არ აქვს მის ეკონომიკურ ზონაში არსებული თევზის რესურსების ათვისების შესაძლებლობა, მან თევზჭერის უფლება უნდა მისცეს სხვა ქვეყნებს შესაბამისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე. კონვენცია განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს იმ თევზის იმ რესურსების მოპოვებისათვის, რომელიც საზიაროა რამდენიმე ქვეყნისთვისათვის (რომელთა მოპოვება შესაძლებელი 2 ან მეტი ქვეყნის ეკონომიკურ ზონაში), ასევე მიგრატორი და ანადრომული თევზების (migratory and anadromous) მოპოვების მოწესრიგებისათვის. კონვენციის თანახმად, ანადრომული თევზების წარმოშობის ქვეყანა ვალდებულია, უზრუნველყოს მათი კონსერვაცია. კონვენცია აწესრიგებს ღია ზღვებში ცოცხალი რესურსების კონსრევაციისა და მართვის საკითხებს. კონვენციის 118-ე მუხლი წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, ითანამშრომლონ ცოცხალი რესურსების კონსერვაციისა და მართვის სფეროში. ქვეყნები, რომლებიც აწარმოებენ ერთი და იმავე ცოცხალი რესურსის მოპოვებას ან ერთსა იმავე ღია ზღვაში სხვადასხვა რესურსის მოპოვებას, უნდა შეთანხმდნენ იმისათვის, რომ განახორციელონ ზღვის ცოცხალი რესურსების კონსერვაციისთვის საჭირო ღონისძიებები. ამ მიზნით ქვეყნებმა უნდა ითანამშრომლონ თევზჭერის რეგიონული და სუბრეგიონული ორგანიზაციების შექმნის მიზნით.
[FAO-ს შეთანხმება საერთაშორისო წყლებში თევზსაჭერი გემების მიერ კონსერვაციისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ზომებთან შესაბამისობის ხელშეწყობის შესახებ (1993)](#). [შეთანხმებას საქართველო შეუერთდა 1994 წლის 7 სექტემბერს.](#)	შეთანხმება მიზნად ისახავს, გააძლიეროს დროში სახელმწიფოების როლი და უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო გააძლიერებს კონტროლს თავის გემებზე, რათა უზრუნველყოს კონსერვაციისა და მართვის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა. შეთანხმება აღნიშნავს დროშის მქონე სახელმწიფოების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე, არც ერთი გემი არ ახორციელებდეს თევზჭერას, ამასთან მათ უნდა შეეძლოთ ეფექტურად განახორციელონ თევზის რესურსების კონსერვაციასა და მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნები. შეთანხმება მოითხოვს თევზჭერი გემების რეგისტრაციას და

	საერთაშორიოს თანამშრომლობას შეთანხმებით დაფარულ საკითხებში.
ბერნის კონვენცია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ (1979). კონვენციას საქართველოს შეუერთდა 2008 წლის 30 დეკემბრის პარლამენტის დადგენილებით.	კონვენციის მიზანია ველური ფლორისა და ფაუნის და მათი ბუნებრივი ჰაბიტატებისის კონსერვაცია, განსაკუთრებით იმ სახეობების და ჰაბიტატების, რომელთა კონსერვაციაც მოითხოვს რამდენიმე ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობას. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ და მოწყვლად სახეობებს, მათ შორის, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ და მოწყვლად მიგრირებად სახეობებს. კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის 38-ე შეხვედრაზე 199-ე რეკომენდაციით (27-30 ნოემბერი, 2018 წელი) დამტკიცდა „ზუთხის კონსერვაციის პან-ევროპული სამოქმედო გეგმა“, რომლითაც განისაზღვრა ზუთხისებრთა დაცვის ქმედებების ჩარჩო, ძირითადი მიზნები და ღონისძიებები.
ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ კონვენციის შეთანხმება შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვის და მიმდებარე ატლანტის ოკეანის მცირე ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ (ACCOBAMS) (1996). შეთანხმება რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 2001 წლის 2 მარტს.	შეთანხმება ქმნის საფუძველს ორი სუბრეგიონის ქვეყნების ერთობლივი ქმედებებისთვის ვეშაპებისა და დელფინების დასაცავად, რომელთა არსებობას ხმელთაშუა და შავ ზღვებში რეალური საფრთხე დაემუქრა. შეთანხმება ვრცელდება 18 სახეობის დიდსა და მცირე ვეშაპისებრზე, მათგან შავ ზღვაში ბინადრობს მხოლოდ სამი სახეობა: აფალინა, თეთრგვერდა დელფინი და ზღვის ღორი.
კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES) (1973). კონვენციას საქართველო შეუერთდა 1996 წელს.	კონვენცია მიზნად ისახავს ველური ფაუნისა და ფლორის სახეობების ნიმუშებით საერთაშორისო ვაჭრობის (ექსპორტს, იმპორტს, რე-ექსპორტს და ზღვიდან ინტროდუცირებას) რეგულირებას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მათ არსებობას. მხარე ქვეყნები ვალდებული არიან, დაარეგულირონ და აკონტროლონ კონვენციის დანართებში შეტანილი ფლორისა და ფაუნის სახეობათა ცალკეული ინდივიდებით, მათი ნაწილებითა და დერივატებით საერთაშორისო ვაჭრობა ექსპორტის, იმპორტის, რე-ექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუცირების ნებართვების გაცემით, რომლებიც გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეობის ნიმუში მოპოვებულია კანონმდებლობის შესაბამისად, ვაჭრობა საფრთხე არ შეუქმნის სახეობის პოპულაციას და ცოცხალი ნიმუშის შემთხვევაში, სამეცნიერო ორგანო უნდა დარწმუნდეს, რომ მიმღებს აქვს ნიმუშის სათანადო

	მოვლის პირობები. პირველ დანართში შეტანილი სახეობების ნიმუშებით ვაჭრობა აკრძალულია. შავ ზღვაში შეტანილი დელფინების სამივე სახეობა შეტანილია მეორე დანართში, თუმცა, აფალინას (Tursiops truncates) შავი ზღვის პოპულაციაზე დაწესებულია კომერციული მიზნით ექსპორტის ნულოვანი კვოტა ბუნებრივი გარემოდან ამოღებული ცოცხალ ინდივიდებთან მიმართებით. ატლანტური ზუთხი (Acipenser sturio) შეტანილია კონვენციის პირველ დანართში, შესაბამისად, აკრძალულია თევზის ამ სახეობით კომერციული ვაჭრობა. ზუთხისებრთა თევზების სხვა სახეობები შეტანილია მეორე დანართში. კონვეციის ფარგლებში მიღებული რეზოლუციების თანახმად, ქვეყნები ვალდებული არიან, განახორციელონ ზუთხისებრთა სამეცნიერო კვლევები, უზრუნველყონ პოპულაციების მდგრადობა, აღკვეთონ არალეგალური ჭერა, კონვეციას აცნობონ ზუთხისებრთა პროდუქტების (მათ შორის ხიზილალის) ყველა ლეგალური ექსპორტიორის შესახებ. პირადი მიზნებისთვის, გამონაკლისის სახით, დაშვებულია მხოლოდ 250 გრამი ხიზილალის გადატანა საზღვარზე. [რეზოლუცია 12.7-ის](#) თანახმად, ქვეყნებმა უნდა დაარეგისტრირონ ხიზილალის საწარმოები, მათ შორის აკვაკულტურის ოპერაციები, რომლებიც აწარმოებენ და აფასოებენ ზუთხისბერთა ხიზილალას, ასევე, რომლებიც ახდენენ ხიზილალის გადაფასოებას და წარუდგინონ სამდივნოს შესაბამისი მონაცემები. ამავე რეზოლუციით განსაზღვრულია ზუთხისებრთა თევზებით და ხიზილალით საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვები.